



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### იოანე ბერაი



იოანე ბერაი, X ს. ქართველი კალიგრაფი. აღიზარდა და მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. პარხლის ოთხთავისა და შატბერდის კრებულის გადამწერი.

#### იოანე ბერაი

პარხლის ოთხთავი (22,9 სმ × 19,9 სმ, 259 ფურცელი, ეტრატი) გადამწერილია 973. ნაწერი შესრულებულია მრგლოვანით, ორ სვეტად, სეპიის (ღია ყავისფერი) ფერი მეღვინით. ყოველი თავის დასაწყისში სინგურის სათაურები და ინიციალებია, ხოლო თავსა და ზოგიერთი მუხლის ბოლოს – სინგურისავე წვრილი ჯვრებია, რითაც კალიგრაფი ხელნაწერს უფრო საბეიშო იერს ანიჭებს.

შატბერდის კრებული (973–976) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლია თავისი მდიდარი შინაარსის გამო. იგი შეიცავს უძვირფასეს ქართულ საისტ. წყაროს – „ქართლის მოქცევის“ მათიანეს, გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელისა და ბასილი კესარიელის თხზულებებს, დავითის ფსალმუნებს და სხვ. იგი საშუალო ზომის სქელი წიგნია (28,0 სმ. × 22,0 სმ, 286 ფურცელი, ეტრატი). კრებულის 126 ფურცელი ასომთავრულითაა გადამწერილი ორ სვეტად, ყავისფერი მეღვინით და ერთი ხელითაა შესრულებული. შემდეგ ნუსხური უშუალოდ აგრძელებს მთავრულს. აქ სამი ხელი გაირჩევა (ალბათ, ამ ნაწილის გადამწერაში იოანეს ძმა და ბიძა – მიქაელ მოდრეკილი – მონაწილეობდნენ). შატბერდის კრებულის გაფორმება მარტივი და უპრეტენზიოა.

ი. ბ. თავისი დროის შესანიშნავი კალიგრაფი იყო.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

**ვ. ბერიძე**

---